

## მათემატიკა

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** მათემატიკური სტატისტიკა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** მათემატიკის დოქტორი (Ph.D. in Mathematics)

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:**

საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სრული პროფესორი ელიზბარ ნადარაია,  
ასოცირებული პროფესორი გ. სოხაძე

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**მიზანი:** განხილული იქნება დაკვირვებების საფუძველზე ალბათური ზომების ზოგიერთი მახასიათებლების არაპარამეტრული შეფასებების საკითხები უსასრულო განზომილებიანი სივრცეების შემთხვევაში. ამ მიმართულებით კვლევები სულ უფრო აქტუალური ხდება ბოლო პერიოდში. ეს განპირობებულია არა მარტო მათემატიკური განვითარების სისრულის მოთხოვნით, არამედ პრაქტიკული ხასიათების ამოცანების თვალსაზრისითაც. გათვალისწინებულია ლოგარითმული წარმოებულის არაპარამეტრული სტატისტიკური შეფასების საკითხებისა და უსასრულო განზომილებიანი სივრცეში რეგრესიის განტოლების შესწავლა

**შედეგი:** პროგრამის გავლის შედეგად დოქტორანტი შეძლებს შესაბამის დარგში როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით ნათლად, ზუსტად და მისაღები სახით გადასცეს ადრესატს საჭირო ინფორმაცია, გაიუმჯობესებს როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური ხასიათის სამუშაოების შესრულების უნარს. შეეძლება დამოუკიდებლად დასვას და გადაწყვიტოს პრობლემატური საკითხები აღებული დისციპლინიდან.

**სასწავლო კომპონენტი:** დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსებს არანაკლებ 20 კრედიტისა. დარჩენილ 40 კრედიტს, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დოქტორანტი აგროვებს სხვადასხვა კურსების გავლით (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი):

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
2	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
3	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
4	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5

**კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:** პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს საკვლევი და პედაგოგიური მიმართულებებით შესაბამის დაწესებულებებში, აგრეთვე იმ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებში, სადაც საჭიროა ამდღობული მოთხოვნების სამიერო სამუშაოების ჩატარება, აგრეთვე შეეძლება სტატისტიკური მასალების დამუშავება.

**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიკაში ან გამოყენებით მათემატიკაში.

**სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

**ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე ნავარაუდევია ორი დოქტორანტის მიღება.**